ეროვნული ბიბლიოთეკა


# სასოფლო გაზეთი

**გაზეთის ფასი:**

| გაგზავნით თფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელათ: |
|---|---|
| ერთი წლის — 4 მ. | — [illegible] — |
| ნახევარი წლისა — 3 — | — [illegible] |
| სამი თვისა — 1 მ. | — 1 მ. — |

მეოთხე წელიწადი

გამოდის თვეში ორჯერ

**ხელის-მოწერა მიიღება.**

თფილისს «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, დუბელირის (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბაში, სერგიევის ქუჩაზე, ხატისოვის სახლში.

თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ контору редакціи «СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ», при типографіи Г. Церетели и К⁰. (Дубелира).*

№ 24 შაბათი | IV | 30 დეკემბერს, 1871 წ.


## განცხადება

«სასოფლო გაზეთის» გამოცემაზე

1872 წელს

მომავალს წელს «სასოფლო გაზეთი» გამოვა იმავე პროგრამით და რედაქცია ეცდება წასულ წლებზე უკეთ აასრულოს თავის მოვალეობა.

**ხელის მოწერა «სასოფლო გაზეთზე» შეიძლება:**

ტფილისში «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში გ. წეთლის და კამპ. (დუბელე-რის) სტამბაში, ხატისოვის სახლში სერგიევისა და სოლოლაკის ქუჩაზე.

ქ უ თ ა ი ს შ ი—გერასიმე კალანდარისშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და სვიმონ ლოლობერიძესთან, [illegible].

თფილისსა და ქუთაისს გარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი: ***Въ тифлисъ въ контору Редакціи «Сельской Газеты,» на углу Сололакской и Сергіевской улицъ. Д. Хатисава.***

## ხელმოსაწერი ფასი:

| | გაუგზავნელათ: | გაგზავნით: |
|---|---|---|
| ერთი წლისა თფილისში და აგრეთვე სხვა ადგილებში — — — — — — — — — — — — | — 3 მან. — | — 4 მან.— |
| ნახევარი წლისა — — — — — — — — — — — — | — 1 მ.—50 კ. | — 2 მ. — |

ხელის მომწერლებს უმორჩილესათ ვსთხოვთ, თუ დაიბარებენ, გარკვევით შემოგვითვალონ თვისი სახელი, გვარი და ადგილ-სამყოფი.


**შინაარსი:**

განცხადება სასოფლო გაზეთის გამოცემაზე 2872 წლისა.—საქართველო: გორიდგან კორესპონდენცია.—რუსეთი.—რამდენიმე სიტყვა ჯანის სიმრთელის შესახებ.—რა გავლენა აქვსთ კაცის სიმრთელეზე სადგომ სახლებს და ადგილებს?—სამცურაო ზარი.—გემის კეთება.—კერძოებით განცხადება.—განცხადება «დროების» გამოცემაზე მომავალს 1872 წელს.


## საქართველო

### გორიდგან

(„დროების" კორესპონდენცია.)

2-ს დეკემბრისას ამა 1871 წელსა გორის მომრიგებელს სამსჯავროში გაირჩა რამდენიმე საქმე. მხოლოთ იმათ შორის უფრო მომატებული შესანიშნავი საქმე იყო ორი: ერთი იყო თავად გრიგორ ერისთავისა და სომხის მღვდლისა ტერ-სტეფანოვის შორის, რომელსაც მიემხრენ ორი საზოგადოება: ერთი სოფელი ხიდისთავისა და მეორეც ქ. გორისა. თ. ერისთავმა ამოირჩია სუდში სალაპარაკოთ უ. ალიხანოვი, ს. ხიდისთავის საზოგადოებამ ამოირჩია თავიანთ უფროსი ე. ი. მამასახლისი. გორის საზოგადოებამ მიანდო საქმე უ. ს. ტერ-სტეფანოვს, გორის დეპუტატს. მღვდელი ტერ-სტეფანოვი დარჩა მარტოდ.

საგანი ამა საქმისა ანუ საჩივრისა სასამართ-

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოში იყო შემდეგი: ხიდისთავში, როგორც მოგეხსენებათ, ძლიერ ბევრი ვენახებია, ამისა გამო ხიდისთავის ღვინოები საქართველოში ძალიან გათქმულია. ეს ვენახები და ანუ რაც სახნავი მიწებია ს. ხიდისთავში, ირწყვის მდინარე ტ ა ნ ი თ. ეს მდინარე ტანა ჩამოდის ატენის ხეობიდგან. წელს ზაფხულში ს. ხიდისთავი ძალიან შევიწროვდა უწყლობით, ამიტომ რომ რაც ვენახები არის და სახნავი მიწები ს. ხიდისთავში, დარჩნენ ურწყავათ. მიზეზი უწყლობისა იყო შემდეგი: ატენის ხეობა მომატებული ნაწილი ეკუთვნის თ. გრიგორ ერისთავს, რომელსაც აქვს გამართული ამა მდინარე ტანაზედ საგუბარი წყლისა. რადგანაც ამ ხეობაში გამოდის ბლომათ ხეები ტივისა და ეს ხეები არა რაიმე ღონის-ძიებით ვერ ჩამოიტანება ტკვრის პირზედ ტივის შესაკვრელათ, ამისა გამო აგუბებენ წყალს ამ საგუბარში და მერე ერთბაშათ აუშვებენ ხოლმე ამ წყალსა, რომელიც დიდის ხრიალით წამოიღებს ხოლმე სატივე ხეებსა ხიდისთავის ახლოთ, აქედამ კამბეჩებითა და ხარებით ათრევენ მტკვრის პირზედ და ჰკვრენ ტივებსა წელს ხშირის შევუბებით ამ წყლისა სოფელი ხიდისთავი ძალიან შესწუხდა; ამისა გამო მიართვეს საჩივარი გორის მომრიგებელს მოსამართლეს, რომელშიაც გამოაცხადეს, რომ თ. გრიგორ ერისთავი წყალს აღარ გვანებებსო და ლამის წყურვილით დავიხოცოთო. რადგანაც ს. ხიდისთავში მომატებული ნაწილი არის გორელების ვენახები, ამიტომ იმათ ცალკე იჩივლეს; ამათ შორის ღვდელს ტერ-სტეფანოვსაცა აქვს ვენახი ს. ხიდისთავში, ამან განსაკუთრებით იჩივლა და ესე საჩივარი იყო გასარჩეველათ დანიშნული 2 ს ამა დეკემბერს. რაკი შეესმა ხალხს, რომ ამ გვარი შესანიშნავი საქმე ირჩევა მომრიგებელს სასამართლოში, იმ წამსვე შეკრებილიყო იმოდენა ხალხი ამ გორის მომრიგებელს სასამართლოში, რომ, როგორც ქართულათ იტყვიან, ნემსის კურწიც არ ჩავარდებოდა. უნდა მოგახსენოთ, რომ გორის მომრიგებელი სასამართლოს ზალა ძალიან დიდია, მაგრამ სრულებით არ ეტყობოდა ამ ზალას თავის სიდიდე, რადგანაც ხალხი არათუ მარტო ისხდნენ სკამეიკებზედ, არამედ ორი წილი ფეხზედ იდგა და ვიწროობისა გამო ბევრნი აკოშკებშიაც ისხდნენ. ამათ შორის, რასაკვირველია, იმყოფებოდნენ ის პირნი, რომლების მიზეზითაც შეგროვილიყო ამოდენა საზოგადოება და მოუთმენლათ ელოდნენ გამოსვლას ზალაში მომრიგებელი მოსამართლისას. ცოტა ხანს შემდეგ გაიღო კარები და გამოვიდა მომრიგებელი მოსამართლე ხელში ბღუჯა საქმეებითა და თან გამოჰყვა თარჯიმანი, რომელიც რუსულიდგან ქართულს ენაზედ სთარგმნიდა, თუმცა ქართული ყველას კარგათ ესმოდა. მომრიგებელმა მოსამართლემ გამოუძახა ზემოხსენებულს პირებს და დაიწყო საქმის გარჩევა.

მ ო მ რ. მ ო ს ა მ.—რას სჩივით თქვენ? ჰკითხა მღვდელს.

* * *

მ ღ ვ დ ე ლ ი.—საჩივარი ჩემი, როგორც მოგახსენეთ არზაში, არის შემდეგი: მე მაქვს ს. ხიდისთავში ვენახი, რომელიც მუდამ წელიწადს უკლებლივ ირწყოდა; მაგრამ წელს უწყლობით დამრჩა ურწყავათ და ამის გამო ვენახი წამიხდა. მიზეზი უწყლობისა იყო ის საგუბარი, რომელიც გაუმართავს თ. გრიგორ ერისთავს მდინარე ტანაზედ და მით აგუბებს წყალს და არ გვანებებს სარწყავათა. ამისა გამო გთხოვთ, უ. მომრიგებელო მოსამართლევ, დააშლევინოთ ის საგუბარი და მოგვეცეს წყალი ისე, როგორათაც გვქონია წინანდელს წლებში.

* * *

მ ო მ რ. მ ო ს ა მ. — თქვენ რაღასა სჩივით? ჰკითხა უ. ტერ-სტეფანოვსა და მამასახლისსა.

მ ა მ ა ს. და ტ ე რ-ს ტ ე ფ.—ჩვენც მაგას ვსჩივით, შენი ჭირიმე; ჩვენი ვენახებიც უწყლობით წელს სულ გაოხრდა,—მიუგეს ერთად მომრიგებელ მოსამართლეს.

* * *

მომრ. მოსამ.—თქვენ რას იტყვით ამაზედ? ჰკითხა უ. ალიხანოვს.

* * *

ა ლ ი ხ ა ნ ო ვ ი.—მაგის პასუხს მოგახსენებთ შემდეგს: პირველი, რაც შეეხება საგუბარს, არავის არ შეუძლიან დაშლა, რადგანაც აგერ თითქმის ორმოცი წელიწადია გამართულია და სარგებლობს თ. ერისთივი; მეორეც ესა, რომ ხიდისთაველებს არას დროს არ უსარგებლიათ მდინარე ტანით, ეგენი სარგებლობენ მხოლოდ იმ მდინარეებით, რომელნიც ერთვიან ტანას საგუბარის ქვეით.

* * *

მ ო მ რ. მ ო ს ა მ. ამაზედ რა გაქვსთ სათქმელი? ჰკითხა მღვდელსა.

მ ღ ვ დ ე ლ ი. (გაოცებით) საკვირველია, რომ საზოგადო სახმარისს წყალს იჩემებს საკუთრებათ! დასამტკიცებლათ მისა, რომ თ. ერისთავს არ შეეძლო და არ შეუძლიან არაოდეს წყლის შეკვრა საზოგადოებისთვის, მოვიყვან ერთს მუხლს მეფე ვახთანგის კანონებისას, რომელიც შეუშლელათ მოქმედობს ჩვენ კავკასიაში—ამ დროს აიღო მეფე ვახტანგის კანონები და წაუკითხა მომრიგებელ მოსამართლეს, რომელსაც ეტყობოდა, რომ ის მუხლი ამ საქმის შესახებ არ იყო და იმისა გამო ყურადღებაში არ მიიღო. ბოლოს მოსამართლემ ჰკითხა—მოწმები შეგიძლიან წარმოადგინოთ დასამტკიცებლათ მისა, რომ წელს თ. გრიგორ ერისთავმა წყალი შეჰკრა და არ დაანება ს. ხიდისთაველებსა? ღვდელმა გამოიყვანა რამდონიმე მოწამენი, რომლების სახელი ჩასწერა მომრიგებელმა მოსამართლემ. უ. ალიხანოვმაც წარუდგინა სია თავისი მოწმებისა, რომელთაც უნდა დაემტკიცებინათ, რომ ხიდისთავი არაოდეს არ სარგებლობდა მდინარე ტანით; მხოლოთ პატარა მდინარეები რომ ერთვის ტანას, იმითი სარგებლობენო.

* * *

მომრიგებელმა მოსამართლემ დაუწყო კითხვა ჯერ იმ მოწმებს თვითოვულათ, რომელნიც წარუდგინა მღვდელმა, თუმცა ამ მოწმებმა წარმოსთქვეს სხვა და სხვა საბუთები, მაგრამ ბოლოს ყველა მოწმები ამტკიცებდნენ, რომ ყოველთვის ხიდისთავს უსარგებლია მდ. ტანითაო. აგრეთვე გამოიყვანა უ. ალიხანოვის მოწმები რამდონიმე და ყველამ აჩვენა თ. გრიგორ ერისთვის მხარეს, თითქმის გაეზეპირნათ ერთი და

იგივე ჩვენება, ამისა გამო მომრიგებელმა მოსამართლემ მოსწყვიტა კითხვა რამდენიმე მოწმებისა და დარწმუნდა, რომ ალაგობრივ უნდა გაიშინჯოს ის მდინარეები, რომელნიც ერთვიან მდინარე ტანას და მითი უნდა დარწმუნდეს—საკმაო არის წყალი სარწყავათა თუ არა? ამისა გამო გადასდო ეს საქმე გასარჩევლათ 11-ს ამ დეკემბრამდი.

(***)

ვეცდები შეგატყობინოთ - რითი გათავდება ეს ჩვენთვის ძლიერ საინტერესო საქმე.—

## რუსეთი

,,მართებლობის მოამბეში" დაბეჭდილია უმაღლესი მანიფესტი, რომლის ბრძანებითაც საკუთრივ რუსეთში და პოლშის სამეფოში ამ 1872 წელს სალდათები (რეკრუტი) უნდა მოკრიბონ—ათას კაცში ექვსი.

***

ყველგან და მუდამ ლაპარაკობენ ეხლა იმ საშუალობაზე, რომლითაც ხალხში განათლება უნდა გავრცელდეს, და ამიტომ ურიგო არ იქნება ვთქვათ—თუ ზოგიერთ ქვეყნებში რა საშუალებას ხმარობენ, რომ წერა-კითხვა მაინც ასწავლონ სოფლის ხალხსა. შვეციაში, ნორვეგიაში და ფინლანდიაში აი როგორ იქცევიან სოფლელები: ოთხი ან ხუთი სოფლისთვის მოიწვევენ ერთს მასწავლებელს (კაცს ან ქალს), რომელიც ვალდებულია წლის განმავლობაში ხან ერთი სოფლის ყმაწვილებს შეუყაროს თავი და ასწავლოს და ხან მეორე სოფელში გადავიდეს და იქ გახსნას შკოლა, შემდეგ მესამეში, მეოთხეში და ამნაირათ თითო-ოროლი თვე უნდა დაჰყოს თითო სოფელში და ასწავლოს. მეორე და შემდეგ წელიწადებშიაც ამნაირათვე გრძელდება ამ სოფლებში სწავლა. როდესაც მასწავლებელი ერთი სოფლიდამ მეორეში მიდის, დატოვებულ სოფელში ის ნიშნავს ერთს თანაშემწეს, რომელიც, სანამ თვითონ მასწავლებელი ისევ დაბრუნდება, ცოტ-ცოტათი ასწავლის ყმაწვილებსა. ამ გვარი საშუალება ერთის მხრით იმიტომ არის კარგი, რომ ხუთ სოფელს ყოველთვის რიგიანი მასწავლებლის დაჭერა შეუძლია, და მეორეს მხრით არც შაგირდები იქნებიან იძულებულნი თავის სოფლიდამ ყოველ დღე ხუთ-ექვს-ვერსზე იარონ მეორე სოფლის შკოლაში. ზოგიერთი რუსული გაზეთები რუსეთშიაც ურჩევენ ამისთანა ,,დროებითი" შკოლების გამართვას.

***

ყველასთვის ცხადი ჭეშმარიტებაა, რომ ყოველ გვარი ჭირი და ავათმყოფობა შეუძლოდ ღარიბ ხალხში ჰსუფევს; განსაკუთრებით ფაბრიკებისა და ქარხნების მუშა, რომელსაც მუდამ ძნელი, ჯანმთელობის დამარღვეველი მუშაობა აწევს კისერზე და სიღარიბის გამო ვერც სვამს, ვერც სჭამს ხეირიანათ და არც რიგიან სახლში დგას,—განსაკუთრებით ამისთანა მუშები ხდებიან ხშირათ ავათ და იმათში უფრო ბევრიც იხოცება, ვიდრე სხვა წოდებისა და საქმის ხალხი. ამ მოკლე ხანში პეტერბურღს შემდგარა ერთი საზოგადოება, რომელიც ამ გვარი მუშების ჯანმრელობაზე ჰზრუნავს. ამ საზოგადოების დანიშნულება სხვათა შორის იმაში მდგომარეობს, რომ მუშა ხალხისთვის გამართავს საავათმყოფოებს, სადაც იმათ მუქთათ უწამლეყბენ, - გამოსცემენ მუშებისთვის გიგიენურ წიგნებს, სადაც იქნება დარიგება—თუ როგორ უნდა იცხოვრონ იმათ და რა უნდა სჭამონ და სვან, რომ ავათ არ გახდენ,—ამის გამოიკვლევენ იმ მიზეზებს, რომლის გამო ფაბრიკებისა და ქარხნების მუშები უფრო ხშირათ ხდებიან ავათ და ეცდებიან ეს გარეშე მიზეზები მოსპონ და სხვა.

ამ გვარი ზრუნვა ზემოხსენებული საზოგადოებისა, რა საკვირველია, საქებია და ამ საზოგადოების წევრების გულკეთილობას გვიმტკიცებს; საავათმყოფოების გამართვა, გიგიენური წიგნების გამოცემა, დარიგება და სხვა ამ გვარი საშუალებები, უეჭველია, თავის სარგებლობას მოუტან მუშა-ხალხს. მაგრამ, ჩვენი აზრით, ამ გვარი საშუალებები და დარიგება ვერ მოსპობს ღარიბ ხალხში ავათმყოფობას: განა თვითონ ღარიბმა არ იცის, რომ კარგი ჩაცმა-დახურვა, კარგი სასმელ-საჭმელი და რიგიანი ცხოვრება იმის ჯანმთელობისთვის საჭირო არის? საქმე იმაშია, რომ ყ.ელა ესენი მოიპოვოს იმან. მიეცით იმას კარგი ცხოვრების საშუალება და მაშინ ნახავთ, რომ ისინიც ამნაირათვე ჯანმთელობით და დითხან იცხოვრებენ, როგორც შეძლებულები ცხოვრებენ. ამნაირათ, ცხადია, რომ ღარიბი ხალხის გაჭირებულის სიკვდილისა და ავათმყოფობის მიზეზი ის საზოგადო მდგომარეობა არის, რომელშიაც ეს ხალხი ჩავარდნილია და ამ გვარი დარიგება, წიგნები და საავათმყოფოები იმათ ძალიან ნაკლებათ მოეხმარებიან და თუ მოეხმარებიან—ისიც ათასში ერთსა....

## რამდენიმე სიტყვა ჯანის სიმრთელის შესახებ

(გაგრძელება)

კაცი ყოველ დღე დროებას მუშაობაში ატარებს; საღამოთი მოსწყდება წელში; ყველა ასო მისის გვამისა მაუმარჯობს; აღარ ემორჩილებიან იმას ხელები და ფეხები. რა არის ამის მიზეზი? ამის მიზეზი არის ის, რომ კაცი დღე დიდ მოძრაობაშია; განუწყვეტლივ დილიდგან მოკიდებული საღამომდინ სულ მუშაობს; ძალა, ამ მუშაობაში კაცს აკლდება, სხვაზე გადადის და ამიტომ იღალება. ყველა მისი გარეგანი გრძნობები ემებენ მოსვენებასა და მოსვენებას შეადგენს ძილი. ძილში კაცი ლამაზად გამოიშუშებს; თვითეული ასო მისის გვამისა ძალას მოიცემს ხელ მეორეთ. ადგება დილით და გული გერჯის სამუშავოთ ამ გვარს ცვლილებას ყველა ხედავს თავის თავზედ და ყველამ იცის, რომ საჭირო არის ძილი ყველასთვის და განსაკუთრებით კი ბავშვებითვის. რამდენიც პატარაა ბავშვი, იმდენი ბევრ დროს ხმარობს ძილისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო ბევრი ხანი სძინამს ხოლმე პირველ დღეებში შობის შემდეგ. ახალი დაბადებული ბავშვი უღონოა, ისე უღონოა, რომ ერთი ხელის გაქნევა, ხელში პატარას ხანს ტრიალი ძლის. ამის გამო სძინამს იმდენი ხანი, ვინემ მოიცემდეს ძალას, ბავშვი რამდენიც იზდება, იმდენი ძალაც ემატება და მაშასადამე ძილიც ჩქარ-ჩქარა არ მოუნდება. ხანდის ხან მოხდება ხოლმე, რომ ბავშვი ჯიუტ-დება და არ იძინებს. განუნათლებელ დედებს ჰგონიათ, რომ ჩვენ პატარა შვილს მუმუ უნდაო. მოაწოვებენ, მაგრამ მაინც და მაინც ბავშვი თავისას არ იშლის. დედა ისევ მუმუს მის-ცემს. ბავშვი იმდენსა სწოვს, რომ იმისი კუჭი ვერ ხარშამს; ის ავად ხდება. დედა რომ ჩაფიქრდეს, პატარა ძალა მისცეს თავის ტვინს, იქნება შეიტყოს მიზეზი თუ რათ ტირის მისი პატარა ჩიტო ან ნატო. მარტო შიმშილი არ არის ბავშვის უძილობის მიზეზი; თუ შიმშილი იყოს მუმეს, რომ მოაწოვებენ მაშინვე დაჩუმდება. მაგრამ ამ შემთხვევაში მიზეზი სხვა არის: გაჭუჭყიანებულ, ამოწუწულ თეთრებში გახვევენ, საწყალ ბავშვს უჩნდება შემავიწროებელი ცხოველები; მოუნდება მიდ-გომა და წვალობს იმიტომ, რომ მაგრა არის ჩაკრული აკვანში. ამ მწუხარებას ბავშვი ყვირილით სთქვამს. აი რა არის მომეტებულ ნაწილად ბავშვის ტირილის მიზეზი. ზოგმა დედებმა იციან კიდევ — მე თითონ ბევრჯელ მინახავს — ბავშვი შესრულდება თუ არა წლისას მაშინვე ლოგინში ჩაიგორებენ. იმის წარმო-დგენა კი აღარ შეუძლიანთ თუ რა შედეგი აქვს ამ გვარად ბავშვების მოვლას. ძილში შეიძლება — ამის მაგალითები ბევრია — მძინარე დედა გადააწვეს ბავშვს და ლოგინში დაახრ-ჩოს. ჩვენ ქართველებში — საზოგადოდ სოფ-ლებში — ძიელ გავრცელებულია ბავშვების აკვნის რწევა. თუმცა რწევა სრულიად არ უხშამს ბავ-შვს გონებას, გულისყურს, მაგრამ ცუდად კი მოქმედობს. დიდი კაცი, რომ არწო თაბრუ დაეხვევა, მთვრალივით ბარბაცს დაიწყობს და აბა, თქვენგან არ მიკვირს, ბავშვს რაღა კეთილს დააყრის? დედა იმას უნდა ცდილო-ბდეს, რომ ბავშვს რაც აქვს ტანთ საცმელად სუფთად შეუნახოს, მალ-მალ გამოუცვალოს. ძილის დროს მაგრა არ უნდა შებოჭონ, სის-ხლის მოძრაობას დაუშლის. თუ ამაებს აასრუ-ლებს, მაშინ ბავშვი აღარ შეაწუხებს. ჩვენ ზემოთ ვსთქვით, რომ მშობლის ლოგინში ბავშვების წოლას ცუდი შედეგები აქვს. ამის-თვის დედები უნდა ეცადონ, რომ ლოგინში წოლას თავი დაანებებინონ. თანასწორ ძილს, ადრე ადგომას ნელ-ნელა მიაჩვიონ.

* * *

ბავშვის ფეხის ადგმაზე გავლენა აქვს ბუნებას, იმ ადგილის ჰაერს, მდგომარეობას, სადაც იზდება ბავშვი. ჩავარდნილ ადგილებში თუ კარგი მოვლილი ბავშვია, პირველი წლის დამლევს იდგამს ფეხს. ზოგიერთა დედებს ეხალისებათ ბავშვის წვალება, რო-მელიც იმათ სასიამოვნოთ მიაჩნიათ. ჯერ შვილი რვა თვისა მეტი არ არის ხოლმე და დააწყო-ბინებენ ფეხის ადგმის სწავლებას. ბევრჯელ მო-ხდება ხოლმე ამ უგუნური თამაშობის დროს რომ ბავშვი დაეცემა ცარიელი, ქვით მოკირწყლულ ალაგზე და თავ-პირს დაიმსხვრევს. მე მოვი-ყვან ერთ მაგალითს: ჩემი ნათესავის ქალს, რომელიც ახირებულად ღარიბია, მიეცა ვაჟი, რომლისაც ნატრული იყო. ცხრა თვისა, რომ შესრულდა ბავშვი, დაუწყეს ფეხის ადგმის სწავლება, ამ დროს ზამთარიც იყო. ბავშვი მას ტიტველა ჰყავნდა, მარტო უხეირო პერანგის ამარა. სახლი — აბა რაღა ლაპარაკი უნდა ფარდალალა, რომელშიაც თავისუფლად შე-დიოდ — გამოდიოდა ნიავი.. ჰო, იმას ვამბობდი, დააწყობინა ამ ცივ ზამთარში დედამ ფეხის ადგმა. სიცივისგან გაშეშებული ფეხი, ჯერ დიდი კაცისაც იკვეთება და უმაწვილისას ხომ რაღა კითხი უნდა. საწყალ ბავშვს ფეხები დაეგრიხა. სიცივემ ნაზ და ჩჩვილ ხორცზე დაჰკრა და ბავშვი აგერ ექვსი წლისაა და ეხლა ჯოჯიალით ძლივს აიდგა ფეხი, მაგრამ ვაი იმ ადგმას! ფეხები აქეთ იქით გაურბის, კისერი ჩავარდნილი და ტანით ერთი წლის ბავშვსა ჰგავს. აი რა ცუდი შედეგი აქვს უდრო-უდროდ ბავშვის ფეხის ადგმას. რათ ეგრიხება ფეხები? როგორც ვსთქვით ბავშ-ვის გვამი ნაზია; იმისი ძვლები ჯერაც კიდევ გამაგრებულნი არ არიან. ორწლიწად ნახევრამდინ ბავშვს ძლივს კარგად შეუმაგრდება სხეული. მაშინაც ბავშვი დაპაჭპალობს, ბარბა-ცობს. იმიტომ, რომ ჯერ კიდევ როგორც რიგია ისე არ არიან ძვლები გამაგრებუ-ლები. რვა-ცხრა თვის ბავშვს ძიელ გაფთ-ხილება უნდა. იმის მვალი უნდილია, იგრი-ხება და თუ არ გაუფთხილდებით ფეხებ დაგრეხილი — მოკლედ ვსთქვათ — მახინჯი გა-მოვა. ბავშვი თითონ დაუწყებს ბრძოლას თავის თავს, ემალება ადგეს, და როცა მშო-ბლები შეატყობენ ამ გვარ ცდას ფეხზე ადგომისთვის, მაშინ ისინი უნდა შეეწიონ. ცარიელა ადგილზე არ დასვან, ქვეშ უნდა გაუფინონ რამე. დადგომის დროს უნდა დაი-ჭირონ, გაატარ-გამოატარონ. ჯოხი დაუყუ-დონ და იმას რაკი ხელს მოსჭიდებს აჰყვება თანა. ქამრები სულ არ უნდა შემოარტყან, გულის ფიცარს უგვერდელავებს; ნეკნებს უჭი-ანებს, უდრეკამს. თუ კიდევ არ დაიშლიან — ჩონჩხლეთ, მოშვებით შემოარტყან, რომ არა დაუშავოსრა.

* * *

ბავშვი რაკი წამოიზრდება გული ერჯის სცელქოდ. ამისთვის საჭიროა ბავშვის თა-მაშობა, გართობა რომელიმე სასარგებლო ნივ-

თითა. ბურთაობა, დაჯიბრებით სირბილი, ხუმრობით ომი, ტყუილი ცხენებით ჯირითი—აი პირველი ბავშვის სათამაშოები. ეს თამაშობები უხსნიან ძალას, სიმარდეს, სიცქვიტეს, გონებას უმახვილებს. თამაშობას, ცელქობას მხოლოდ მაშინ აქვს კარგი შედეგები, როდესაც ისინი გონივრულად ამორჩეულები არიან. დედას უპირავს ამ შემთხვევაში პირველი ადგილი. ამან უნდა შეაყვაროს შვილს რაც კარგი და სასარგებლოა, უნდა აშოროს ბოროტ საქმეს. ბავშვი ისეთი სუსტის გონებით, რომ ყველას ერთ ნაირად მიიღებს როგორც კეთილს, ისე ბოროტს. ბავშვმა მიელ იცის დიდების, უფროსების წაბაძვა; რასაკვირველია, თუ ის პირნი, რომლებიც ბავშვს გარს ახვევიან, გარყვნილები, ცუდი ყოფაქცევისანი არიან—კეთილ გზაზე ვერ დააყენებენ ისინი საწყალს უმანკო ბავშვს თავიანთი ცუდი—ბილწი ცხოვრების ტალღას ჩაატანინებენ და დაახრჩობენ! ქართული ანდაზა ამბობს: დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო,-ეს ანდაზა გვასწავლებს, რომ თუ დედ-მამა ცუდი ყოფაქცევისანი არიან, თუ ზნეობითი მხარე სულ ერთიანად დაშლილი აქვსთ, მაშინ არც შვილი გამოვა ხეირიანი, რადგან შვილზე დიდი გავლენა აქვსთ მშობლებს. ცუდი ჩვეულებაები, სიამპარტავნე, სიანჩხლე, სიურცხვე—ერთი სიტყვით რაც კი ცუდი, დამამცირებელი მხარეები გამოჰყვება კაცს სიდიდეში, წარმოსდგება ცუდი აღზრდისგან. იქნება თითონ ბავშვს ეტყობოდეს, ჰქონდეს კარგი ნიშნები, მაგრამ რა კი ცუდ საზოგადოებაში, ცუდ აღმზრდელების ხელში ჩავარდება, დაიღუპება. რომელსამე ცუდ ხელოსანს, მაგ. უხეირო დურგალს, რაც უნდა კარგი მასალა მიუტანო, მაინც ვერ გამოიყვანს რიგიან სტოლს, ან კამს. კარგს კი თუ გინდ ცუდი მასალა მიუტანოს—ისე ხერხიანად მოაგვარებს საქმეს, რომ თვალისთვის სასიამოვნო ნივთს გააკეთებს. ისე კიდე ბავშვების აღზრდა: ცუდ გაფუჭნილ დედას რაც უნდა კარგი ნიჭიერი კარგის ნიშნების მქონე შვილი ჰყვანდეს,—ხეირიანს ვერ გამოიყვანს. კარგი განათლებული, კარგი სვინიდისიანი და ზნეობიანი დედა ისეთ მიმართულებას მისცემს, ისეთ ნაირად აღზრდის, რომ, თუნდ ცუდი იყოს, კარგად აქცევს. ბავშვების აღზრდა დიდი ვალია. ეს ვალი განსაკუთრებით დედას აძევს კისერზედ. დედამ უნდა რაც შეიძლებოდეს კეთილ—სვინიდისიანათ აღზარდოს თავისი შვილი; მიაჩვიოს ეს გონიერ მორჩილებას; შეაყვაროს ის, რაც კი იმის ვალს შეადგენს. ბავშვის ცუდ მიდრეკილებას, რა საკვირველია, დედა უფრო მალე შენიშნავს და როგორც იმისთანა პირი, რომელსაც დიდი გავლენა აქვს შვილზედ, შეუძლიანთ ის ცუდი მიდრეკილებები განაშოროს ბავშვის გულიდგან. მხოლოდ მაშინ არის დედა-კაცი ღირსი დედად წოდებისა, როდესაც ის კეთილ სვინიდისიანათ აღასრულებს ყველა იმას, რახედაც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ, დედა არის მთესავი; კაცობრიობას, ქვეყანას აქვს უფლება მოსთხოვოს იმას, როგორც მთესავს, სადი და ნაყოფის მომცემელი თესლები.

ი. ნათაძე.

## რა გავლენა აქვთ კაცის სიმრთელეზე სადგომ სახლებს და ადგილებს?

(დასასრული)

ცხელ ქვეყნებში ნიადაგის სინოტივეს დიდი გავლენა არა აქვს კაცის გვამის დაშლაზე, რადგანაც წყალი მიწიდამ მიელ ჩქარა ადის ორთქლათ. შავ მიწაში გვამები მალიან მალე ლპებიან იმის სინოტივეს მიზეზის გამო.

ყველა ნათქვამების მიზეზისა გამო გვირჩევენ, რომ სასაფლაოებზე წვრილ-წვრილი ბუჩქები და ყვავილები დავრგოთ, რომლებიც არამცთუ ისვამენ სინოტივეს, არამედ თვით ჰაერსაც სწმენდავენ. მაღალი და მიელ გაფურჩქნული ხეები ამდენ სარგებლობას ვერ მოიტანენ.

სასაფლავებსაც იმ განზრახვით ააგოგოლავებენ ხოლმე, რომ, როდესაც გუბო დალპება, სასაფლაოზედ არ გაკეთდეს ორმოები და აქედამ არ ამოყროლდეს ჰაერის გამაფუჭებელი სუნი.

ყველა სასაფლაოზედ მკვდრებისთვის მიწა უნდა იყვეს აგოგოლავებული, პირველად იმიტომ რომ მისცენ შემლება გამოღვიძებისა ლეტარღიული მილით (*) დამინებულებს, მეორედ იმისთვის რომ გვამები მათში იმ დრომდინ ინახებოდნენ, სინამ იგინი არ დაიწყებენ დაშლას და მაშინვე უნდა ჩაფლან მიწაში. ამისთანა შენობების ნაკლულევანებას მაშინ უფრო ცხადათ ვგრძნობთ, როდესაც დიდი ჭირი გაჩნდება ხოლმე. კუბოები უნდილი ხისაგან უნდა იყოს ხოლმე გაკეთებული. სასაფლავებში ქვით-კირი არას დროს არ უნდა ამოვიყვანოთ. დიდებისი ვის ალ-ნახევარი სასაფლავები უნდა ამოვთხაროთ ხოლმე, პატარებისთვის კი ერთი ადლი. რამდენიმე მკვდარი ერთად არას დროს არ უნდა დავმარხოთ.

თუ რომელსამე სასაფლაოზედ მკვდრების დამარხვა აღარ შეიმლება, მაშინ იმ დრომდინ უნდა მოვიცადოთ, სინამ იქ დამარხული მკვდრები სრულად არ დალპებიან. მაგრამ ვადის

*) ეს მილი ისეთი მილია, რომ კაცი მკვდრისაგან ვერ გაირჩევა და დიდხანსაც გასტანს ხოლმე; ამისგამო ხშირად ხდება ხოლმე (განსაკუთრებით გაუნათლებელ ქვეყნებში) რომ ამით დამინებულ კაცს მკვდრათ შესთვლიან და დამარხვენ ხოლმე.

გაწვლის შემდეგაც მალიან დიდი გაფთხილება უნდა, იმისთვის რომ, იქ დამარხული მკვდრები თუმცა დაიშლებიან, მაგრამ მოხდება, რომ მიწას შეესვას მკვდრების ცუდი სუნი, რომელსაც დიდი გავლენა აქვს ხალხის სისაღეზე, თუ რომ მიწის შემუშავების დროს ჰაერს შეუერთდება. მკვდარი ოთხ-ფეხის დასამარხავი ადგილები ქალაქებზედ ისე მალიან მოშორებით უნდა იყვნენ, რომ იქ იშვიათად იარებოდნენ ხალხი და სხვა ოთხ-ფეხები; ამასთანავე ოთხ-ფეხნი კარგი იქნება რომ მიელ ღრმათ დაიმარხნონ მიწაში, ამას პოლიციამ უნდა უგდოს ყური. პოლიციამ აგრეთვე უნდა უგდოს ყური იმ შენობებსაც, სადაც მზადდებიან სხვა და სხვა ცუდი სუნიანი ნივთები. ამ გვარი ზაოდები შეიძლება აშენდნენ მხოლოდ ქალაქების გარეთ, სადაც ჰაერს თავისუფლად შეუძლიან იმუშაოს. ზაოდები, რომლებშიაც მზადდებიან იმისთანა ნივთები, რომლებსაც ცუდი გავლენა აქვს მუშებზე და ახლო-მახლო მცხოვრებლებზე, იყოფებიან სამ ნაწილად: პირველს ეკუთნიან ისინი, რომლებიც საცხოვრებელ სახლებზე უსათუოდ მოშორებით უნდა იყვნენ აშენებულნი; მეორეს ისინი, რომლებსაც გარშემო მაღალი ღობე უნდა ერტყათ, და მესამეს ისინი, რომლებზედაც პოლიციას განსაკუთრებითი თვალ ყური უნდა ეჭიროს. ბაღებში სეირნობა მალიან მარგებელია კაცის სიმრთელისათვის, რადგანაც კაცი დიდხნობის სეირნობის და მოძრაობის გამო ბევრს ჰაერს შეისუნთქავს ხოლმე. კარგი იქნება, რომ ქალაქების ქუჩებში იშვიათად იდგნენ ისეთი დაბალი ხეები, რომლებიც ჰაერს თავისუფალ მუშაობას არ უშლიდნენ. ქალაქების ახლოს მალიან ხეებით გაშენილი ბაღები მალიან მარგებლია მცხოვრებლებისათვის, იმისთვის რომ ჰაერს თავისუფალ მუშაობას უშლიან. ქალაქებში ქუჩების განათებას აქვსთ დიდი მნიშვნელობა, როგორც ეკონომიურის, ეგრეთვე გიგიენურის მხრითაც. თუ რომ ქუჩები განათებულები არიან ზეთით და ან სხვა ნივთით, ყური უნდა უგდონ, რომ იმათ ცუდი სუნი არა ჰქონდეთ. იმ ქალაქების ქუჩები, რომლებიც არ არიან განათებულები, ამტკიცებს იმას, რომ იმ ქალაქის მცხოვრებლები ჭკუით გაუნათლებლები არიან.

* * *

ფაიტონებით ჩქარა სიარული დაშლილი უნდა იყოს, განსაკუთრებით იმ ქუჩებში, სადაც არც ტროტუარებია და არც ქვაა დაგებული, ყინვის დროს ტროტუარები მტვრით ან სხვა რითიმე უნდა მოსდონ, რომ გამვლელებს ფეხი არ მოუსხლტეთ და არ მოიტეხონ ან ფეხი, ან ხელი და ან სხვა რომელიმე ნაწილი სხეულისა.

* * *

პოლიციას თვალ-ყური უნდა ეჭიროს აგრეთვე იმ შენობებზედაც, რომლებშიაც თოფის წამალს აკეთებენ, რომ არ იფეთქონ და უბედურება არ დააბრუნონ. წამლის გასაკეთებელი ზაოდები ქალაქებზე მოშორებით უნდა იყვნენ აშენებულები.

---

## სამცურაო ზარი.

წინა გაზეთის №23-ში იყო მოყვანილი რამდენიმე მაგალითი სამცურაო ზარის თვისების გასაგებად. ეხლაც უჩვენებთ მკითხველს რამდენიმე მაგალითს, რომ უფრო უმჯობესად გავაცნობოთ ეს სახენებული ზარი.

* * *

მაგალითად ავიღოთ ერთი სტაქანი, დავაპირქვაოთ წყალში, ეს წყალი თუნდ დიდ ლანგარში იდგეს; მაშინ ჩვენა ვნახამთ რომ ქვევიდგან წყალი მალიან ცოტა შევა და სტაქანში ალაგი გვეჩვენება ცარიელათ, თუმცა ეს ალაგი ცარიელი არ არის, არამედ ჰაერია შიგ. ამ სტაქანში მყოფი ჰაერი წყალს აწვება და ამ სახით ნებას არ აძლევს წყალს, რომ და ზეით სტაქნის პირში ავიდეს, თუნდ კარგა ღრმათ ჩავაყურყუმელაოთ, მაინც არ ავა წყალი ზევით. თუ რომ ჰაერს გამოვაცლით, მაშინვე წყლით სტაქანი გაიმსება.

* * *

სამცურაო ზარი ემგზავსება სააკლესიო ზარს, იმ განსხვავებით კი რომ სამცურაო ზარს გვერდებზე ფანჯრები აქვს გაკეთებული და შიგ დიდი საჯდომი ალაგი, ექვსი კაცი მაინც დაეტევა. სამცურაო ზარით დაიწყეს ნივთების ძებნა, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ გემით დაღუპულიყო.

* * *

მცურავის ტანისამოსი აი როგორია, თავიდგან სარტყლამდის ჩაცმული აქვთ მაუნეულისგან გაკეთებული მრგვალი, რომელშიაც კარგა ბლომათ ჰაერი დგას. წინა მხარეს ნახვრეტი აქვს გამოსახედავათ, რომელშიაც შუშა არის ჩასმული. კურტკას ისეთ ნაირათ აქვთ მიკრული, რომ არა სახით არ შევა იქ წყალი. იმას სარტყელს წინ და უკან მობმული აქვს დიდრონი ქვები, რომ უფრო ძირს ჩავიდეს და წყნარათ დაეშვნენ ხოლმე ძირს.

* * *

თუმცა ამისთანა ხერხიანობა აქვს, მაგრამ მაინც შიგ მჯდომი კაცი უჰაეროთ დაიხჩობოდა. იმისთვინ რომ ჰაერი მუშაობდეს, შიგ წმინდა ჰაერი, სუნთქონ შიგ მსხდომებმა, გაუკეთეს რეზინის ლულა ამ ზარს და ზევით გემში აქვს მეორე წვერი აშვებული. ამ ზარს მეორე ლულაცა აქვს; პირველი ლულიდგან წმინდა ჰაერი ჩადის, მეორედგან კი, ცუდი ჰაერი ამოდის. შიგ მჯდომ მცურავს ერთ ხელში თოკი უჭირავს, რომ ამათი შეატყობი-

...ნონ თავიანთი საჭიროებს გემში მსხდომებს.

* * *

როიალ ჩარტერის გემი რომ ზღვაში დაიღუპა, მაშინ ძალიან დასჭირდათ მცურავები. მართლაც იმათ ძალიან დიდი შველა მისცეს ...ატრონს; იმათ კარგა ბლომათ ძვირფასი ნივთები უპოვეს, რომლებიც უამისოთ სრულიათ დაეკარგებოდათ.

* * *

ეხლანდელ დროს ცდილობენ მოაგროვონ ოქროს და ვერცხლის მადნები, რომლებსაც გამოჩენილი პირები ზღვაში ჰყრიდნენ. მცურავმა იპოვნა თუ არა, მაშინვე ამოჰყოფ თავის შუშებიანი თვალი, რომელიც თავის საშინელი თვალებით ემგზავსებოდა გველეშაპს; ჰპოულობდა ფულს თუ არა მაშინვე თავში ირტყამდა რომ გაეგო ყალბი ხომ არ არის ეს ფული და შემდეგ ჯიბეში იწყობდა.

ძალიან დიდი ხანი არ არის, რაც დიდი სარგებლობა მოუტანეს მცურავებმა ძველი ვერტმინსტერის ხიდის დანგრევის შემდეგ. საჭირო იყო, რომ სამირკვლის დიდრონი ქვები ამოეტანათ.

* * *

ძველი ვერტმინსტერის ხიდი თლილი ქვით იყო აშენებული. ეს ააშენა შვეიცარელმა ტაბელემ. ამის შენობა დაიწყო ათას შვიდას ოცდა თვრამეტს წელს და დასრულდა ათას შვიდას ორმოც და ათსა წელს. ეს ხიდი დაჯდა ერთი მილიონი ხუთას ოცდა ექვსი ათასი სტერლინგი *) და ამაზე მომავალი გზა ერთი მილიონი ას ოთხმოც და ათი ათასი სტერლინგი დაჯდა.

* * *

მცურავები ჯან მთელები უნდა იყვნენ, განსაკუთრებით ვინც ვერტმინსტერის ხიდზე მუშაობენ, სადაც ძნელი სამუშაოა, ამისთვინ რომ მცურავი ფეხზე ვერა დგება წყლის სიჩქარისაგამო. მაგრამ იმათ ფეხზე აცვიათ ჩუსტები ტყვიის ძირიანი, რომელიც თვრამეტი ფუთის სიმძიმეა. ამათ გარდა ორი ქვა ჰკიდიათ, ერთი ზურგზე, მეორე წინა. თითო ეს ქვა ორმოცდა თექვსმეტი ფუთია. თუმცა ამნაირი სიმძიმე აწევთ იმათ, მაგრამ ისინი არასა გრძნობენ, რაცა შიგ წყალში მუშაობენ.

* * *

მცურავებს შეეძლიანთ რამდენიმე ხანი წყალში დარჩნენ; ზოგი ერთი ამათგანი სამი საათი იყვნენ შიგ წყალში, და არც ერთხელ არ ამოვიდნენ ზევით. იმათ ზამთარშიაც შეუძლიანთ მუშაობა შიგ წყალშია; სიცივეს კი არა გრძნობენ; იმათ ხელები ისეთ ნაირათ გაუნელები აქვსთ, რომ ჩაქუჩის მაგიერათ ხმარობენ. მაგრამ წყლიდგან რომ ამოდიან, მაშინ ძალიან დიდ ტკივილსა გრძნობენ.

თუმცა მცურავების ხელობა ძნელია და საშიშია, და სრულებით სხვა ხელობას არ ედარება, მაგრამ ისინი ისეთივე სალები არიან, როგორც სხვა მუშაკები. სამოც და ათი წლის ბებერი, რომელიც მე შემხვდა ვერტმინსტერის ხიდთან, იმას მთელი მეოთხედი თავის სიცოცხლე წყალში გაეტარებინა, ის იყო ისეთი საღი და მარდი როგორც ერთი და ორი იპოვება სოფელში. ეს იყო იმ მცურავთაგანი, რომელიც სოიელის ჟორჟის ნივთებს ეძებდა.

*) სტერლინგი არის ექვსი მანეთი და ხუთი შაური.

---

## გემის კეთება.

გასაოცარი ნივთებით სავსეა ქვეყანა. კაცმა რომ მიკროსკოპით(1) დაჰხედოს ერთს რომელსამე ნივთს, მაშინ დარწმუნდება, რომ ქვეყანა გასაოცარი ნივთებით სავსეა. გასაოცარია, არა თუ ბუნების ნამოქმედარი, არამედ კაცის ნამოქმედარიც. გიამბობთ ერთ რომელიმე გასაოცარ ნივთზე, რომელიც, იქნება თქვენც განახოთ.

გინახავთ როდისმე გემი? იქმნება პორტის (1) ქალაქში ყოფილიყოთ და განახოთ ისა. მაშინ მოგხვლიათ სხვა ფიქრი, გარდა იმისა, რომ ეს გემი იმისთვის არის გაკეთებული, რომ ხალხი ან ტვირთი წყალზე გაატაროს? შეიძლება თქვენთაგანმა იფიქროს, რომ გემი არ ეკუთნის გასაოცარ ნამოქმედარსს, მაგრამ უნდა ვსთქვათ რომ ათასმა წელმა გაიარა, მანამ ისწავლიდნენ იმისთანა გემის გაკეთებას, როგორსაც ჩვენ ეხლა ვხედამთ. როცა გემში შეხვალთ თქვენ გეჩვენებათ ხაოხი (არეულობა): ხელოსანი მირბის ხან აქეთ და ხან იქით, ირევიან ისრე, როგორც ფუტკარი სკაში; ჩაქუჩის და ცულის ერთბაშათ ცემა აყრუებს კაცს, და თუ რომ ყურს შეაჩვევ ამ რახირუხს, მაშინ მიხვდები ამ ხელოსნების მუშაობას.

უდაბურ და ბარბაროსების (ბრიყვების) მხარეში ნავი კეთდება ძალიან ცუდათ; იმათი გზების გაკეთებაზე ძალიან ბევრი შრომა უნდება. ეს კეთდება ვებან კუნძისაგან, ჯერ გეჯასავით, შემდეგ, თან და თან ასუფთავებენ, და გამოდის ნავი. ნავი ერთ ნაჭრისგან არა ჰკეთდება, ეს არის ერთმანეთზე, გასუფთავებული ფიცრებით გადაბმული. ამისთვისაც ზღვი თვით პატარა ნავი არ არის ერთიანი. აბა ამის აწერვა ვცადოთ. როგორ აკეთებენ ნავსა?

ზღვის ნაპირი, სადაც ნავები დგებიან, კარგა ღრმათ არის ამოთხრილი, ამისა გამო იქ თავისუფლათ მოდგება ხოლმე ნავი და თავისუფლათაც მიდის აქედგან ზღვაში. ამ ალაგას გააწყობენ ხეებს ოთხ ფუტ (ოთხ მტკაველზე მეტს) მოშორებით. ამ ხეებზე გემს აკეთებენ და როცა სრულებით დაასრულებენ, მაშინ აქედგან წყალს მისცემენ ხოლმე. მთელი ხე გამართულია გემის ძირზე, რომელსაც გემის ფსკერს ეძახიან. ამ ფსკერზე აქეთ იქით მუხის ფიცარი აქვს ამართული. ეს ფიცრები ფეთებისავით არის გაკეთებული. თუ რომ ეს ფიცრები ესრე არა ჰქონდეს გემი ძალიან დაუმგზავსდება. თვითეულ

(1) მიკროსკოპი არის ისეთ იარაღი, რომლითაც ძალიან პაწაწა ნაწილს ხედამენ.

(2) პორტა ისეთი ქალაქია, რომელიც წყლის ასლო დგას, სადა გემის ნავთ—საყუდარი (დასადგომი) ალაგი აქვთ.

ამ ფიცარს უნდა ჰქონდეს საკუთარი ფორმა. შემდეგ ამაზე გააკეთებენ იმოდენა გემს, რამოდენაც ჰსურთ. მაგრამ ამ გემის გვერდების ფიცრები მოხრილი უნდა იყვეს. რადგანაც მოხრილი ფიცრის შოვნა ძნელია, ამისთვინაც ძალათი ჰკაკვამენ ხოლმე.

როცა მოკაკვენ, მაშინ ნაღვერდალზე ან ცეცხლის ალზე გაათბობენ; როცა ეს ხე ან ფიცარი დალბება, მაშინ ადვილათ მოიკაკვება ხოლმე, მოიკაკვება ისრე როგორც ნებავთ. როცა კარგა გახმება, მაშინ ცულით ან ხელეჩოთი გასთლიან ხოლმე. შემდეგ ფსკერზე გააკეთებენ, და ზევიდგან ხეს გაზდებენ. მაგრამ პირველათვე ფსკერის თავ და ბოლოს გაკეთებული აქვს ორი ხე, რომელთაც ერთს ბოლოს ეძახიან, მეორეს—ცხვირს. ესლა ამ გემებს, როგორც მეგემეები ამბობენ, ფიცრები უნდა მოჰკერდეს. ეს ფიცრები მუხისა და ძალიან სქელებიც უნდა იყვნენ ფიცრის მისაკრავათ ლურსმანს კი არა ხმარობენ, რომელიც მალე ჟანგდება ხოლმე, არამედ ხმარობენ პატარა ხის ტოტსა, რომელსაც, როცა ფიცარს საჭვრეთლით ან ბურაოთი ამოხვრეტიან, შიგ ჩაურჭობენ ხოლმე. როცა ფიცრებს სუყველა მხრით მიაკრამენ, მაშინ შიგნიდან ფისს კარგა სქლათ წაუსვამენ. ამასაც არ აკმარებენ: ნავის იმ მხარეს, რომელიც წყალშია, გადაკრული აქვს სპილენძის თხელი ფიცარი, რომ ამ მხრიდგან ზღვის ჭიები არ ავიდნენ. ესლა საჭიროა მაჩტა (ანძა) მოიმართოს.

მაჩტას (ანძას) პატარა გემზე აკეთებენ ამ სახით: ფიჭვის გძელ ხეებს აყუდებენ გემში, და ერთმანეთზე თოკით ამაგრებენ. თუ რომ დიდ გემს აკეთებენ, მაშინ, რასეკვირველია, დიდ ხეებსაც ხმარობენ, და ამ ხეებს თოკით კი აღარა ჰკრამენ, არამედ რკინის სალტით..

როცა დიდ გემს წყალზე სამგზავროთ ამგზავრებენ, მაშინ არის კარგი სანახავი. გემი წყლისკენ არის მიქცეული. გემზე ბევრი ხალხი დგას, რომელნ.ც გემს მოელის. შემდეგ, როცა სრულად დამზადდება, მაშინ მიეცემა გემი წყალზე სვლას. წინცხვირით აპობს წყალს და გზას იჩენს წყალზე... ღმერთმა კეთილი მგზავრობა მისცეს!

თუ რომ კარგი ხით, ე. ი. მაგარი ხეებისგან არის გაკეთებული გემი, მაშინ დიდს ხანს გასძლებს. ამისთვის ინგლისში მუხის ხისას აკეთებენ; ინდოეთში აღმოსავლეთის მხარეს ტიკისას (ხეა) ხმარობენ. ძალიან საჭიროა, რომ გემის გასაკეთებელი ხე იყოს ადვილათ სათლელი, ლურსმანი მაგრა დაიჭიროს, რომ ის მაგარი იყოს.

ხეს თავიდგან ბოლომდის ზედი-ზედ გაბმული აქვს ძარღვი, ზოგ-ზოგი ეს ძარღვები დიდებია, ზოგი კი პატარაა. შიგ ხის შუა გულში ზედი-ზედ მიტყუპებულია წვრილი ძარღვები, რომლებიც ხის სიმაგრეს შეადგენენ. ეს შეერთება იწოდება გულათ. როცა ლურსმანი ჩაერჭობა, მაშინ ეს ძარღვები გაიჭიმება, კი არ გაწყდება, და ამისაგამო ლურსმანს ძალიან მოუჭირებს.

ძალიან საჭიროა, რომ ხემ ძალიან დიდი ხანი გასძლოს ისე რომ არ დალპეს. ზოგი ერთი ხე ძალიან მალე ლპება, ამისთვინ გემზე სახმარებლათ არ ვარგა. გამოჩენილი ლივანის ნაძვი, რომელიც საღმრთო წერილში იხსენება, არის ძალიან მაგარი და გვიანაც ლპება, ამისთვინ ეს ხე გემისთვის ძალიან კარგია. კიპაროსიც მაგარი ხეა. ის ხე, რომელიც გვიან იზდება, გემისთვინ ძალიან კარგია. ისიც ძალიან კარგია, რომელიც გაცალკევებული იზდება.

თქვენ რას იტყვით რკინაზე გემის გასაკეთებლათ? თქვენ ეს იქმნება ხამათ გეჩვენოთ, მაგრამ აკეთებნ; აკეთებენ იმისთვინ როცა ძალიან შორს აპირებენ წასვლას. ამისგან გაკეთებული გემი ხისას ძალიან სჯობია. სხვათა შორის ეს იმითი სჯობია რომ ეს გემი რამთელიმე წელიწადი მაგრა შეინახება, მაშინ როდესაც ხის გემი მალე გაფუჭდება: ეკიდება ხავსი, ზედ სოკოები გამოსდის და სხ. თუ რომ რკინით გაკეთებული გემი კლდეს შეეჯახება, მაშინ დიდს ვნებას არ მისცემს გემს, როგორც ხისას მიეცემა ხოლმე, და თუმცა გაფუჭდა მალეც გაკეთდება. ერთი სიტყვით მაგარია.

---

### ალექსი ანდრიას ძე კვალია-შვილი
### და
### ნიკოლაოზ დიმიტრის ძე ყიფიანი

სადავოსა და სამსჯავრო საქმეების წარმოებას კისრულობენ ყოველს სასამართლოს ადგილებში: მომრიგებელ მოსამართლეებთან (მიროვოი სუდებში) ოლქის სასამართლოში, სამოსამართლო პალატაში და სენატში. ვისაც ამათთან მოლაპარაკება ენებოს, მოიკითხოს არსენალის ქუჩაზედ, ჭავჭავაძის ქუჩის მახლობლად, ფულინოვის სახლში, სადაც უწინ მეჟევშჩიკების შკოლა იყო და ახლა სდგას დიმიტრი ივანეს ძეს ყიფიანი, დილით თერთმეტ საათამდინ და სალამოთი ოთხი საათიდამ შვიდ საათამდინ. სხვა დროს — კვალიაშვილის სადგომში, საპერნის ქუჩაში, ბაბანასოვის სახლში.

---

## მომავალს 1872 წელს
## «დროება»

გამოვა თავის ძველებური პროგრამმით და შეუცვლელად.

მომავალი წლიდამ მთელი წლის «დროების» ფასი, შვიდი მანეთის მაგივრათ ექვსი მანეთი იქნება.

პირველი იანვრიდგან დროებაზე ხელის-მოწერას მიიღება

თფილისში—«დროების» რედაქციის კანტორაში, გ. წერეთლის და კომ. სტამბაში, სერგიევის ქუჩაზე, ხალილოვის სახლებში, და

ქუთაისში—გერასიმე კალანდარიშვილთან. (სასულიერო სასწავლებელში).

თფილისის და ქუთაისის გარეშე მცხოვრებთა, პირველ იანვრიდამ, გაზეთი «დროება» შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты «ВРЕМЯ», при типографіи Г. Церетели и к°. (бывшей Дубелира).

| ხელ-მოსაწერი ფასი | გაუგზავნელად მან. | გაუგზავნელად კაპ. | გაგზავნით მან. | გაგზავნით კაპ. |
|---|---|---|---|---|
| ერთის წლისა | 5 | » | 6 | » |
| ნახევრის წლისა | 2 | 50 | 3 | » |
| სამის თვისა | 1 | 50 | 1 | 75 |
| ერთის თვისა | » | 50 | » | 60 |

---